ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №331883

ნომერი: AR176145

თარიღი : 27.08.2012

გაცემის თარიღი : 31.08.2012

გაცნობის თარიღი : 05.09.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად ამირიძე პ/ნ 01025011313
- თბილისი დ. ბაგები კორ. 3 ბ. 88

ორგანიზაცია:
- შპს "tbilisi foods and beverages company" კოდი: 404424324

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N35, 29.08.2012წ), რომლის

დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, შოთა რუსთაველის გამზ. N16–ში (უძრავი ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს, რეკომენდაციით: ,,წარმოდგენილი იქნას ალტერნატიული ვარიანტი, მაგალითად: არასტაციონალური სარეკლამო დაფა, ან კედელზე პერპენდიკულარულად დამაგრებული სარეკლამო აბრა''. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომგანმცხადებელს, მოქ. ზ. ამირიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ზ. ამირიძეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, შოთა რუსთაველის გამზ. N16–ში (უძრავი ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.